

რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების, მატერიალური
შეღავათების მინიჭებისა და ქონების რესტიტუციის სამართლებრივი
ასპექტები საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის
მართლმადიდებლურ ქვეყნებში

სალომე ჩხაიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

სალომე ჩხაიძე, 30.01.2021

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოარკვიოს რელიგიური გაერთიანებათა ქონების რესტიტუციისა და სახელმწიფოს მიერ მინიჭებული პრივილეგიების სამართლებრივი და პრაქტიკული თავისებურებანი საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საკუთარ იდენტობას დომინანტურ რელიგიას უკავშირებს. ამ მხრივ, ნაშრომი აფასებს სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობას სეკულარიზმის კონსტიტუციური და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების შუქზე.

მიზნის მისაღწევად კვლევაში შედარებულია ოთხი მსგავსი ქვეყნის - საქართველოს, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვის მაგალითები, რაც უფრო ზუსტი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. კვლევისათვის ასევე გამოყენებულ იქნა აღწერით/მიმოხილვითი და შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.

დადგინდა, რომ განხილულ ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან რელიგიურ გაერთიანებათა მხარდაჭერა, ხშირად, დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს და დომინანტური რელიგიური ჯგუფისადმი მიკერძოებულია. შედეგები კარგად წარმოაჩენს თუ რა პირობების დადგომისას სარგებლობენ დომინანტური რელიგიები ჭარბი და გაუმართლებელ პრივილეგიებით და რა კონკრეტულმა ნაბიჯებმა შეიძლება უზრუნველყონ ყველა რელიგიური ორგანიზაციისათვის სამართლიანი პირობების არსებობა იმგვარ სეკულარულ სახელმწიფოში, როგორც საქართველოა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სეკულარიზმი, რელიგიის თავისუფლება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რელიგიურ გაერთიანებათა პრივილეგიები.

Abstract

The master's thesis analyzes legal and practical aspects of state benefits allotted to religious associations and religious property restitution in Georgia and Eastern European countries, where most of the population associates their identity with the dominant religion. The paper assesses the church-state relationship in the light of constitutional secularism and non-discrimination principles in this regard.

The study compares four similar country cases of Georgia, Bulgaria, Romania, and Moldova, which allows for more accurate conclusions. The study employs descriptive and comparative-legal analyses as well.

The main conclusion is that the state assistance with religious associations in these countries is often discriminatory against minorities and biased toward the dominant religious group. The results illustrate the conditions under which the major religious group enjoys excessive and unjustified privileges, and what steps should be taken to ensure fair conditions for all religious organizations in a secular state like Georgia.

Key Words: Secularism, Freedom of Religion, Non-discrimination Principle, Religious Associations Privileges;